დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თინათინი მეფარიშვილი
წევრი: ზურაბ მესხიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 244970778

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 4/06/2025 წლის N672848 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) N985805 -14/08/2025 და N339970-20/03/2026 ოქმების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის N231340 - 26/02/2026 სამსახურებრივი ბარათისა და N89068-29/01/2026 წერილის, სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის N157361-12/02/2026 წერილის, საბჭოს შუამდგომლობით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება იპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის - "Front – end დეველოპმენტი" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულებისა და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა).

ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი ვიზიტამდე შეიკრიბა ონაი და, შეიმუშავა დღის წესრიგი. შესაბამისად, 2026 წლის 15 ივნისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლაში (მის:ქ.ხონი, რეზო შამათავას ქ. №16). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომელიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების სწავლებას და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით. შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს მის ხელთ არსებული ფართი, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს შეფერხების გარეშე, როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი მიმართულებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები გაწერილია ისე, რომ ზოგადი და პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშალოს ხელი . დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცემული რეკომენდაციები:	გათვალისწინებული რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან:
4.1.1დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულება გეგმავს განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად, წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 176ივნისის N 2-71ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმა. რომლის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება, სადაც განისაზღვრება მათი მკაფიო ფუნქციები.	დაწესებულებამ უზრუნველყო სტრუქტურული ერტეულების/ პირების მოძიება და ორგანიზაციულია სტრუქტურა და დოკუმენტები განაახლა, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მათი ფუნქცია მოვალეობები.
მე-2 ინდიკატორი დირექტორის ბრძანებით 2025 წლის N2-69 (16.06.2025) დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი სადაც გაწერილია , ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. როგორც პირველ ინდიკატორშია აღწერილი დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტანდარტთა შესაბამისობის 18 თვიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოიძიოს და სრულად დააკომპლექტოს დაწესებულება პერსონალით, რომელიც ხელს შეუწობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.	პირველი ინდიკატორის შესაბამისად, მოხდა თავიდან გადახედვა პერსონალის ფუნქცია მოვალეობების, ხელთავიდან დაკომპლექტდა პერსონალი, რამაც ხელი შეუწყო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის მკაფიოდ და კარგად განხორციელებას.
მე-3 ინდიკატორი დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ 2025 წლის 16 ვინისის დირექტორის N2- 69 ბარძანებით, რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იმოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C	მონიტორინგის შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ნამდვილად მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). ინტერვიუების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ, დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის მართვის მენეჯერის შტატი. ხარისხის უზრუვნელყოფაზე პასუხსიმგებელ პირად განსაზღვრულია ადამიანი , რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება. ეტაპოვრივად კეთდება გამოკითხვა/ შეფასება სამსახურის მხრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ამ ეტაპისთვის ხარისხის უზრუვნელყოფაზე პასუხსიმგებელ პირად განსაზღვრულია ადამიანი , რომელსაც არ აქვს შესაბამისი გამოცდილება თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ უნარების სააგენტოს მხრიდან იგეგმება მისი გაძლიერება . დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 18 თვიანი გეგმით განსაზღვრულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.	
2.2.1.1- ინდიკატორი- დაწესებულებას გამოყოფილი აქვს C გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, Front- end დეველოპმენტის განსახორციელებლად. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა მოიცავს ,,სპორტის" ინტეგრირებულ მოდულს დაეწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. დაწესებულებაში იგეგმება მოეწყოს და სრულად აღიჭურვოს შესაბამისი სივრცე პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, თუმცა მიმდინარე წარმოების ფარგლებში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ სასწავლო სივრცე. აღნიშნულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტანდართად შესაბამისობის გეგმა (16.06.2025. N2-71) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვის ვადა, იმისათვის რომ სკოლა აღჭურვოს იმ მატერიალური რესურსებით, რომლებიც მითითებულია განაცხადში, პროგრამის დანართებში და აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „Front end დეველოპმენტი" განახორციელებს ქალაქ ხონში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.
მე-2 ინდიკატორი- პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 14 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 3 პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა მხოლოდ 1 ჯგუფის მიღების შემთხვევაში არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისიწინებულ ზღვრულ დატვირთვას. თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია ერთი განმახორციელებელი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს	„Front end დეველოპმენტ" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 7 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 6 პირი. 1 მასწავლებელი დარგობრივი ინგლისურისათვის. შესაბამისად, პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდართან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა (16.06.2025 N2-71) სადაც მეტწილად არის შეფასებული აღნიშნული იდიკატორი. დაწესებულება გეგმავს მოიძიოს, დაიმატოს და განავითაროს ადამიანური რესურსები, იმისათვის რომ პროგრამის განხორციელებას არ შექმნას საფრთხე.	
მე-3 ინდიკატორი სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირებს, კომპეტენცია უდასტურდებათ მხოლოდ დარგობრივი მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დააწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე განმაახორციელებელ პირებს. რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის კომპეტენციას, ისინი საჭიროებენ დამატებით გაუმჯობესებას, რისთვისაც დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით	პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიღებულ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ აკადემიაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა რომ, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.	
მე-4 ინდიკატორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის Front- end დეველოპმენტის " ხელმძღვანელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. დაწესებულებამ მისი კომპეტენციის დასადასტურებლად წარმოადგინა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი , რომელიც მოიცავს მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებას. პროფესიული განალთების მასწავლებელს არ აქვს გამოცდილება სამუშაო გამოცდილება Front- end დეველოპმენტის მიმართულებით, სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნოს მეტი დარგობრივი გამოცდილების მქონე პირი,სკოლას ასეთი პირები ყავს განმახორციელებლებად. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა,	ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა გვითხრა რომ, მოხდა მისის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ეს დაგვიდასტურა დაწესებულების ხელმძრვანელმაც.
მე-5 ინდიკატორი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინდიკატორის დასაკმაყოფილებად შემუშავებული აქვს შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ის გეგმას აღნიშნულ ვადაში მოიძიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსები და აღჭურავს სკოლის ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო რესურსით მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ 6 თვის ვადაში დააწესებულება დამატებით მოიძიებს შესაბამისი დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული კომპეტენციის მქონე განმაახორციელებელ პირებს.	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
,,Front-end დეველოპმენტი''	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გამოვლენილა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გამოვლენილა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს .

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

3. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დირექტორის 16.06.2025 N 2-69 ბრძანებით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, ასევე სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და მართვის პოლიტიკის დებულებაში რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, კოორდინატორის , პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და შესყიდვების სპეციალისტის და რეესტრის მწარმოებლის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, ფუნქცია მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, დამატებითი მოთხოვნები. პირადი საქმეებში დაცული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტები ხელმოწერილია დასაქმებულთა მიერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. დაწესებულებამ ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ განავითარა თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. სტრუქტურული ერთეულების/პირების მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლდა, სადაც განისაზღვრულია მათი მკაფიო ფუნქციები. სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს ,,სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობისა და მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ N2-122 ბრძანებაში შევიდა ცვლილება (22/01/2026 N53010 მუხლი 4) ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები დაემატა:პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები,პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,პროფესიული განათლების მასწავლებელი,რეესტრის მართვის მენეჯერი. მოყვანილია შესაბამისობაში მოხდა გასაუბრება მათათან. ასევე განახლებულია ხელშეკრულებები, როგორც ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტების და მასწავლებლების, რაც თანხვედრაშია ინდიკატორთან. აღნიშნულით დაკმაყოფილებულია ინდიკატორის მოთხოვნა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 4.1.1.1 მოთხოვნა შესაბამისობაშია .

2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დირექტორის ბრძანებით 16.06.2025 N 2-69 ბრძანებით დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები. რომელშიც განსაზღვრულია ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, კოორდინატორის , პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და შესყიდვების სპეციალისტის და რეესტრის მწარმოებლის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. როგორც პირველ ინდიკატორშია აღწერილი დაწესებულებამ მოიძია და სრულად ხელახლა დააკომპლექტა დაწესებულება პერსონალით, რომაც ხელს შეუწყ ო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის კარგად და ეფექტურად განხორციელებას .

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებულია აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებული დირექტორის 16.06.2025 N 2-69 ბრძანებით , რომლის მიხედვითაც „ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას. შიდა შეფასება მიმართული იქნება ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მოხდება მიღებული შედეგების გაანალიზება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - განავითარე“ ციკლის შესაბამისად (PDCA პრინციპი: P (plan) - დაგეგმე; D (do) განახორციელე; C (check) შეამოწმე; A (act) - განავითარე). გამოკითხვების და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მონიტორინგის შედეგფად, მოხდა დოკუმენტების შესწავლა, ასევე ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუვნელყოფაზე პასუხსიმგებელ პირად განსაზღვრულია თანამშრომელი, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენცია ხარისხის მენეჯერის ფუნქცია მოვალეობების შესასრულებლად. შექმნილია ხარისხის მართვის მენეჯერის შტატის შექმნა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 4.1.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები
- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები,

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად; დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები,პერსონალის შერჩევის პროცესი კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პერსონალის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე.

ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით; დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, ,, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის ახალი თანამშრომლის აყვანისას, დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდიკის ფართო სპექტრი გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, არსებული საკადრო ბაზიდან ან/და ღია კონკურსის გამოცხადებით. დაწესებულებაში დასაქმება შესაძლებელია როგორც კონკურსით შერჩევის, ასევე, კანდიდატთან გასაუბრების გზით. პერსონალი შესაძლოა დანიშნულ იქნას დანიშვნის აქტით - ბრძანებით/შრომითი ხელშეკრულებით.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამისობაშია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია- მოვალეობების. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 4.1.2.3.-ის მოთხოვნა შესაბამისობაშია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების პერსონალი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, რომლის მტკიცებულებად შეიძლება მივიჩნიოთ დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით.

ამდენად, ინდიკატორი 4.1.2.4.-ის მოთხოვნა შესაბამისია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის მართვის და განვითარების პოლიტიკა“
- პერსონალთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front – end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front- end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ხონი, რეზო შამათავას N 16
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	10
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „Front end დეველოპმენტი“ განახორციელებს ქალაქ ხონში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეიძენს შესაბამის მატერიალურ აღჭურვილობას, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ მსმენელთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის C გარემოში.
C გარემო - პროფესიულ მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15;
ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის;
პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.
სასწავლო გარემო პროფესიული მსმენელებისთვის აღჭურვილი იქნება 15 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ მსმენელთა 15 სამუშაო მაგიდით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით, დაწესებულება
ამრიგად, სრულ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; კერძოდ „Front end დეველოპმენტ“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 7 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 6 პირი. 1 მასწავლებელი დარგობრივი ინგლისურისათვის. შესაბამისად, პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ მსმენელთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიღებულ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ აკადემიაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ მსმენელთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ინტერვიუების დროს აღნიშნეს რომ, ხშირად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები დაწესებულების მხრიდან.
ამდენად, **ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია.**

4.პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ მსმენელთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. აქტიურად უწევს კონსულტაციებს მოდულების განმახორციელებელ პირებს დარგის სიახლეებთან მიმართებით, ზრუნავს საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას. ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა გვითხრა რომ, მოხდა მისის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ეს დაგვიდასტურა დაწესებულების ხელმძღვანელმაც.
ამდენად, **ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. მატერიალური რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ხოლო ელექტრონული რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებზე და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში.
ელექტრონული კატალოგი და სასწავლო რესურსები ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას, რაც ადასტურებს რესურსების ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის. პროფესიული მასწავლებლების მიერ დამუშავებულია ე/წ რიდერები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტქსელთან დაკავშირებული ოთხი კომპიუტერით მკითხველებისთვის და ერთი კომპიუტერით ბიბლიოთეკარისთვის, აგრეთვე საოფისე კომბაინით (მრავალფუნქციური პრინტერი). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს გამოყენების წესების გაგებას და მათი დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად **ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია.

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დასტურდება (მტკიცებულებები): სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც სკოლამ დაკორექტირებული სახით ადგილზე წარმოგვიდგინა , რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 11. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას .

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით:

- **პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება ;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;**
- **განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი;**
- **ვიზუალური დათვალიერების შედეგები;**
- **გასაუბრების შედეგები.**

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 01.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: